**მომხს:** ფ. ყუშიტაშვილი

პროექტი

თელავის მუნიციპალიტეტის  საკრებულო

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა  №

„-------“  ნოემბერი 2022 წ.

ქ. თელავი

**თელავის მუნიციპალიტეტის  საკრებულოს  2022  წლის 28 იანვრის N3 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა პროგრამის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე**

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე–20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად,

**მუხლი 1.** შეტანილ იქნეს ცვლილება თელავის მუნიციპალიტეტის  საკრებულოს 2022 წლის 28 იანვრის #3 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა პროგრამის დამტკიცების შესახებ“ (www.matsne.gov.ge, 31/01/2022, 010250050.35.163.016559).

**მუხლი 2.** დადგენილების დანართით დამტკიცებულ „თელავის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა პროგრამას“ დაემატოს შემდეგი შინაარსის ქვეპროგრამები:

**1. აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა რეაბილიტაციის ქვეპროგრამა:**

ქვეპროგრამის სამიზნე ჯგუფს მიეკუთვნება: დაავადებათა საერთაშორისო კლასიფიკატორის (ICD-10) განვითარების ზოგადი აშლილობების (F84.0- F84.9) ჯგუფის დიაგნოზის მქონე 2-დან 18 წლამდე ასაკის თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული ბავშვები, ასევე ქვეპროგრამის მოქმედება გავრცელდეს ამავე ტერიტორიაზე მოქმედ მცირე საოჯახო ტიპის სახლებსა და მინდობით აღზრდაში მყოფ ბავშვებზე.

დაინტერესებულმა პირებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი დოკუმენტები:

ა) წერილობითი განაცხადი;

ბ) დაბადების მოწმობის ასლი;

გ) მშობლის ან წარმომადგენელის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

გ) სამედიცინო დაწესებულებიდან გაცემული ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ - ფორმა №IV100/ა;

დ) მიმწოდებლის მიერ გაცემული ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტი.

ქვეპროგრამის ბენეფიციარს რეაბილიტაციის კურსი დაუფინანსდება ვაუჩერში მითითებული ფიქსირებული თანხით, ვაუჩერის ხანგრძლივობა შეადგენს 6 თვეს. ვიზიტების რაოდენობა განისაზღვრება: 7 წლამდე ასაკის ბენეფიციარებისათვის თვეში 4 ვიზიტი, ხოლო 7 წლიდან ასაკის ბენეფიციარებისათვის - 8 ვიზიტი.

**2. მკვეთრად გამოხატული შშმ პირებისა და შშმ ბავშვებისათვის სამედიცინო დანიშნულების დამხმარე საშუალებების დაფინანსების ქვეპროგრამა:**

ქვეპროგრამის სამიზნე ჯგუფს მიეკუთვნება: თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მკვეთრად გამოხატული შშმ პირები და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვები, რომლებიც ჯანმრთელობის მდგომარეობიდან გამომდინარე საჭიროებენ სამედიცინო დანიშნულების დამხმარე საშუალებებს.

ქვეპროგრამით სარგებლობა შესაძლებელია ყოველთვიურად. დაფინანსების ოდენობა განისაზღვრება 100 ლარის ფარგლებში.

ქვეპროგრამით სარგებლობის მიზნით წარმოსადგენი დოკუმენტაცია:

ა) ბენეფიციარის ან მისი წარმომადგენლის განცხადება;

ბ) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

გ) შშმ პირთა სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტი;

დ) ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ (ფორმა NIV-100/ა);

ე) მომსახურების მიმწოდებლის მიერ გაცემული ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტი;

ვ) საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია მოთხოვნილ იქნეს დამატებითი დოკუმენტაცია.

**3. განათლების ხელშეწყობის ქვეპროგრამა:**

**1. ქვეპროგრამის ფარგლებში, დაფინანსდებიან:**

**1.1 სოციალურად დაუცველი სტუდენტები:** საქართველოს მოქალაქე, თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული პირი, რომელიც კანონმდებლობით დადგენილი წესით ჩაირიცხა ბაკალავრიატის, მაგისტრატურის ან დოქტორანტურის აკადემიურ საფეხურზე, არის აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტი, რეგისტრირებულია

სოციალური მომსახურების სააგენტოს „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში“ და მინიჭებული სარეიტინგო ქულა ტოლია ან ნაკლებია 150 000-ზე და „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზიდან“ ამონაწერში ოჯახის საცხოვრებელი ადგილის მისამართად მითითებულია თელავის მუნიციპალიტეტი.

**1.2 შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე სტუდენტები:** საქართველოს მოქალაქე, თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული პირი, რომელიც კანონმდებლობით დადგენილი წესით ჩაირიცხა ბაკალავრიატის, მაგისტრატურის ან დოქტორანტურის აკადემიურ საფეხურზე, არის აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტი და კანონმდებლობის შესაბამისად მინიჭებული აქვს ზომიერად, მნიშვნელოვნად ან მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსი.

**დაფინანსების ოდენობა სემესტრულად შეადგენს არაუმეტეს 1000 ლარს და დამოკიდებულია სტუდენტის მიერ წინა სემესტრში მიღებული აკადემიური მოსწრების საშუალო არითმეტიკულ ქულაზე:**

**• 90-ზე მეტი - 100 ქულის ჩათვლით** - სემესტრული თანხის არაუმეტეს 100% (1000 ლარი)

1. სტუდენტებისთვის, რომელთა სარეიტინგო ქულა „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში“ არ აღემატება 150 000 ქულას.

**2.** შეზღუდული შესაძლებლობის მქონე სტუდენტებისთვის;

**• 70-ზე მეტი - 90 ქულის ჩათვლით** - სემესტრული თანხის არაუმეტეს 100%, (1000 ლარი)

1. სტუდენტებისთვის, რომელთა სარეიტინგო ქულა „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში“ არ აღემატება 70 000-ს;

**2.** მნიშვნელოვნად ან მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე სტუდენტებისთვის;

**• 70-ზე მეტი - 90 ქულის ჩათვლით** სემესტრული თანხის არაუმეტეს 70% (700 ლარი)

**1.** სტუდენტებისთვის, რომელთა სარეიტინგო ქულა „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში“ არის 70 000-ზე მეტი და 150 000-ის ტოლი ან ნაკლები.

**2.** ზომიერად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე სტუდენტებისათვის;

**• ტოლია ან ნაკლებია 70 ქულაზე** - სემესტრული თანხის არაუმეტეს 70% (700 ლარი)

მკვეთრად ან მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის სტუდენტისათვის,

**• ტოლია ან ნაკლებია 70 ქულაზე** - სემესტრული თანხის არაუმეტეს 50% (500 ლარი)

1. სტუდენტებისთვის, რომელთა სარეიტინგო ქულა „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში“ ტოლია ან ნაკლებია 150 000-ის;

**2.** ზომიერად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე სტუდენტებისათვის.

**დაფინანსების მისაღებად სტუდენტმა თელავის მუნიციპალიტეტის მერიაში უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტაცია:**

• პირადი განცხადება

• საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობის ასლი ან საქართველოს მოქალაქის პასპორტის ასლი;

• სოციალურად დაუცველი სტუდენტის შემთხვევაში - ამონაწერი „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზიდან", შეზღუდული შესაძლებლობის მქონე სტატუსის დამადასტურებელი ცნობა შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანოდან;

• ცნობა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან, რომელიც უნდა შეიცავდეს ინფორმაციას სტუდენტის სტატუსის და წლიური გადასახადის შესახებ;

• უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ გაცემული აკადემიური მოსწრების მაჩვენებელი/ამონაწერი, წინა სემესტრში გავლილი საგნებისა და შეფასებების შესახებ (გარდა პირველი სემესტრის სტუდენტებისა);

• უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საბანკო რეკვიზიტები/ანგარიშფაქტურა.

• შეზღუდული შესაძლებლობის მქონე სტუდენტის შემთხვევაში - თელავის მუნიციპალიტეტში რეგისტრაციის დამადასტურებელი ცნობა (განცხადების შეტანის მომენტისთვის სტუდენტს არანაკლებ ბოლო 6 (ექვსი) თვის განმავლობაში უნდა უფიქსირდებოდეს რეგისტრაცია თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე).

**მუხლი 3.** დადგენილება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე თენგიზ მთვარელიშვილი